



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია, ბაკალავრიატი

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი(ებ):
16 ნოემბერი, 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი:
21 დეკემბერი, 2020

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205304357
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	თერაპია და რეაბილიტაცია (0915)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №69 22.07.2015)

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინე ფხაკაძე (სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ფიჩხაია - (შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარინე თოიძე - (კავკასიის სამედიცინო ცენტრის დირექტორი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ აბულაძე - (ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ- უნივერსიტეტი, საქართველო)

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდება 2014 წლიდან. პროგრამა აკრედიტირებულია 2015 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №69 22.07.2015). იმპლემენტაციიდან დღემდე პროგრამას ჰყავს კურსდამთავრებულთა ორი გამოშვება. საგანმანათლებლო პროგრამა მუდმივად განვითარების პროცესშია. ადმინისტრაციის განცხადებით, პროგრამის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობა უცხოურ უნივერსიტეტებთან, რომლებიც ახორციელებენ მსგავს პროგრამებს, მათი საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით ფაკულტეტი აქტიურად ჩაერთო გაცვლით პროგრამებში. ამ მხრივ არსებობს თანამშრომლობა ლიეტუვის სპორტის უნივერსიტეტთან, კაუნასი და სპორტის ეროვნულ აკადემიასთან „ვასილ ლევსკი“, სოფია. უნივერსიტეტი მიმდინარე სასწავლო წლიდან გეგმავს როგორც სტუდენტთა ასევე პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში ესპანეთის, ბულგარეთის, პოლონეთისა და ლიეტუვას უნივერსიტეტებში.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 6 20 0000997897, 16/10/2020 ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 16 ნოემბერს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ირინე ფხაკაძე (თავმჯდომარე); გიორგი ფიჩხაია (წევრი); მარინე თოიძე (წევრი); მარიამ აბულაძე (წევრი) განახორციელა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური

შეფასება, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით უკანასკნელის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ვიზიტი მიმდინარეობდა დისტანციურ რეჟიმში დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, მოისმინა დაწესებულების ხედვა აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან და სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით, შეხვდა და გაესაუბრა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელსა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, ასევე გაიმართა შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, ასევე დამსაქმებლებთან. ჯგუფმა ონლაინ დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

▪ **სტანდარტი 1. სრული შესაბამისობა**

1.1. სრული შესაბამისობა; 1.2. სრული შესაბამისობა

▪ **სტანდარტი 2. მეტწილი შესაბამისობა**

2.1. სრული შესაბამისობა; 2.2. მეტწილი შესაბამისობა

2.3. სრული შესაბამისობა; 2.4. სრული შესაბამისობა

2.5. მეტწილი შესაბამისობა; 2.6. სრული შესაბამისობა

▪ **სტანდარტი 3. სრული შესაბამისობა**

3.1. სრული შესაბამისობა

▪ **სტანდარტი 4. სრული შესაბამისობა**

4.1. სრული შესაბამისობა; 4.2. სრული შესაბამისობა

4.3. სრული შესაბამისობა; 4.4. სრული შესაბამისობა

▪ **სტანდარტი 5. სრული შესაბამისობა**

5.1. მეტწილი შესაბამისობა; 5.2. სრული შესაბამისობა

5.3. სრული შესაბამისობა

▪ **რეკომენდაციები**

2.2. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „პათოლოგიური ანატომია“ მოდიფიცირება

„პათოლოგიის“ სახით და უკანასკნელის ფარმაკოლოგიისა და შინაგან სნეულებათა საფუძვლების წინაპირობად განსაზღვრა.

2.5 სწავლების მეთოდების არჩევისას სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინება; სიმულატორზე პრაქტიკული უნარების სწავლების გაზიარება ერთეული სასწავლო კურსებიდან უმეტეს კლინიკურ სასწავლო კურსებში;

- პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების და შემთხვევაზე ორიენტირებული სწავლების გამოყენება.

5.1. რეკომენდირებულია დაზუსტდეს ჩანაწერები უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დებულებაში, რომლის თანახმადაც სტუდენტი გაიგივებულია ბაკალავრთან და უკანასკნელის მიერ დადგენილ ვადაში საგანმანათლებლო პროგრამის დაუსრულებლობა განსაზღვრულია, როგორც ბაკალავრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1.2.

- შესაძლებელია სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირება და სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებისას, შეფასების კრიტერიუმების კონცენტრირება პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასებაზე.
- ინტერნაციონალიზაციის გადრმავება გაცვლითი პროგრამებითა და საერთაშორისო პროექტებით, ასევე უცხოელი ლექტორების ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში.

2.3. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის მუდმივი განახლება.

3.1. სტუდენტური სერვისების გაძლიერება, კარიერული სერვისების გაძლიერება, სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობისათვის, სტუდენტების ჩართულობა თვითშეფასების გუნდში.

4.2. დამატებითი წახალისების მექანიზმების შემუშავება რიგი აკადემიური პერსონალისათვის, რომელთა შრომებს გააჩნიათ მაღალი სამეცნიერო ღირებულება, იძებნებიან Scopus ბაზაში, და გამოირჩევიან მაღალი h ინდექსით.

5.1. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დახვეწა და პროგრამის სპეციფიკაზე ორიენტაცია. მეტი გამჭირვალეობის უზრუნველყოფა.

მჭიდრო უკუკავშირის უზრუნველყოფა დამსაქმებლებსა და კურსდამთავრებულებთან.

5.2. გარე ხარისხის შეფასების მექანიზმების გამრავალფეროვნება, პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტების/ორგანიზაციების ჩართვა გარე ხარისხის შეფასებაში.

5.3. დამსაქმებელთა რეკომენდაციების გათვალისწინება პრაქტიკული უნარ-ჩვევების, კომუნიკაციის უნარებისა და გუნდური მუშაობის უნარების გაძლიერების მიზნით).

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“ აკრედიტირებულ იქნა 2015 წელს (გადაწყვეტილება №69, 22.07.2015). პროგრამის განვითარების ჯგუფმა გაითვალისწინა წინა აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციები, რომელთა თანახმად, პროგრამა გამდიდრდა სასწავლო კურსებით: „კინეზოთერაპია“, „სპორტული მედიცინა და რეაბილიტაცია“; ხოლო ჯანმრთელობის ფსიქოლოგია და სპორტული მიმართულების სასწავლო კომპონენტები დაემატა არჩევით საგნებს, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტები ჩაიშალა და სტუდენტის შეფასება გახდა გამჭვირვალე. ამასთანავე, პროგრამის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების გარდა 2019 წლიდან უნივერსიტეტში საერთოდ განახლდა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების ფორმა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც იქნებიან კონკურენტუნარიანი თანამედროვე შრომით ბაზარზე. მათ უნდა ქონდეთ შესაბამისი კომპეტენცია, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და საუკეთესო კომუნიკაციის უნარები. ასევე, აქტუალურია რომ ზედმიწევნით კარგად ქონდეთ შესწავლილი სპორტული მედიცინა, ტრავმების პრევენცია, პირველადი დახმარება და სპორტული რეაბილიტაცია.

სულ უფრო მზარდია ინტერესი ფიზიკური დატვირთვისადმი ადამიანის ორგანიზმის ადაპტაციის მეთოდების შესახებ, ასევე ფიზიკური და ბიოქიმიური ფაქტორების ზემოქმედების როლის შესახებ. შრომით ბაზარზე აქტუალურია ისეთი სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ კომპეტენცია ნუტრიციოლოგიურ საკითხებში, რაც ასევე აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში.

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია რეგულაციებთან, თავსებადია უნივერსიტეტის სტრატეგიასთან და მისიასთან და ემყარება საგანმანათლებლო პედაგოგიკის თანამედროვე სტანდარტებს. პროგრამის საერთო მიზანი მარტივადაა ჩამოყალიბებული და ეფექტურად უნდა განხორციელდეს პროგრამის წარმოდგენილი დიზაინით.

პროგრამის პრაქტიკული ნაწილი მოიცავს სტუდენტების ჩართულობას უშუალოდ რეაბილიტაციის პროცესში. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იძლევა საშუალებას, რომ სტუდენტებს ჩამოუყალიბდეთ შესაბამისი უნარ-ჩვევები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულების მისია (ვებ გვერდი.sportuni.edu.ge)
- წესდება (ვებ გვერდი.sportuni.edu.ge)
- სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა (ვებ გვერდი.sportuni.edu.ge)
- საბაკალავრო პროგრამა - ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე 2019 წლის 4 დეკემბერი, ოქმი #6) (ვებ გვერდი.sportuni.edu.ge)

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. კურსდამთავრებულს ეცოდინება ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ფიზიკური თვისებების განვითარების მეთოდები, სხვადასხვა დაავადებებისა და დაზიანების განსაზღვრა და სამედიცინო რეაბილიტაციის ტაქტიკის შერჩევა; ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ფიზიკური თვისებების განვითარების მეთოდების გამოყენება; სხვადასხვა დაავადებებისა და დაზიანების განსაზღვრა; სამედიცინო რეაბილიტაციის ტაქტიკის შერჩევა; ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით სპორტის სახეობებისა და სარეაბილიტაციო ვადების მიხედვით სარეაბილიტაციო ღონისძიებების განსაზღვრა და განხორციელება; შეეძლება ანამნეზისა და ანალიზების საფუძველზე ტრავმული მდგომარეობის ზოგადი შეფასება და მკურნალობის ტაქტიკის შერჩევა, ასევე პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა; ტრავმული მდგომარეობის ზოგადი შეფასება და მკურნალობის ტაქტიკის არჩევა; ანამნეზისა და ანალიზების საფუძველზე ტრავმული</p>

დაზიანებების დროს პირველადი დახმარების და პრევენციის სქემის შემუშავება; გამოუმუშავდება სამკურნალო ფიზიკური ვარჯიშების შერჩევისა და შედეგების შეფასების უნარი; საწვრთნო, აღმდგენი და ჰიგიენური მასაჟის ჩატარების უნარი; სპორტსმენის რაციონში საკვები ნივთიერებების ბალანსირებულობის განსაზღვრის უნარი; პროგრამის მიხედვით, სტუდენტებს ევალებათ კვლევითი პრაქტიკის შესრულება წინსწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად. თანამედროვე მედიცინაში უკვე რამდენიმე წელია, ცალკე დარგად გამოიყო „ცხოვრების სტილის/წესის მედიცინა“ (lyfestyle medicine), სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწორ კვებას, რეაბილიტაციას და სამკურნალო ფიზიკულტურას. ასევე, სულ უფრო მეტი ადამიანია დაკავებული სპორტით და ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი პერსონალის მაღალკვალიფიციური მომზადება, რომლებიც ამ პროცესს სწორად წარმართავენ და მტკიცებით მედიცინაზე დაყრდნობილ რჩევებს მისცემენ მოქალაქეებს, რისი ნაკლებობაც დღეს ნამდვილად იგრძნობა საქართველოში (და ზოგადად, განვითარებულ ქვეყნებშიც). აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტის აღნიშნული პროგრამა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის განვითარებაში და შეავსებს იმ სივრცეს, რომელზე მოთხოვნაც მზარდია. ამაზე მეტყველებს ის ფაქტებიც, რომ რამდენიმე კურსდამთავრებული, წარმატებით არის დასაქმებული ევროპის რამდენიმე ქვეყანაში.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. ამისათვის, უნივერსიტეტში შექმნილია სპეციალური დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით; მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს. შედეგები გაზომვადი და მიღწევადია, ფორმულირებულია 12 სწავლის შედეგის სახით; რომელთა შემუშავებაში ჩართული იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, შესაბამისი სფეროს დამსაქმებლები.

საყურადღებოა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ბაზრის კვლევა, სადაც ნათლად ჩანს, რომ დამსაქმებლები პოზიტიურად აფასებენ კურსდამთავრებულთა თეორიულ ცოდნას და ურჩევენ დაწესებულებას მათი პრაქტიკული უნარების, კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის ჩვევების გაუმჯობესებას. შესაძლებელია სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირება, სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებისას, შეფასების კრიტერიუმების კონცენტრირება პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- თვითშეფასების ანგარიში

<ul style="list-style-type: none"> ○ ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე, 2019წ 4 დეკემბერი) ○ ბაზრის კვლევა;
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ შესაძლებელია სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირება და სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებისას, შეფასების კრიტერიუმების კონცენტრირება პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასებაზე. ○ ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება გაცვლითი პროგრამებითა და საერთაშორისო პროექტებით, ასევე უცხოელი ლექტორების ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p>
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, შეესაბამება პროგრამის მიზანს და ლოგიკურადაა დაკავშირებული სწავლის შედეგებთან, ასევე მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;</p> <p>საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს აბიტურიენტს, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და სწავლის უფლებას მოიპოვებს ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე. პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია ეროვნულ გამოცდებზე სამი საგნის ჩაბარების შემთხვევაში, რაც არ მოიცავს ქიმიას, ფიზიკას და ბიოლოგიას. თუმცა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ საგნების ცოდნის გარეშე, სტუდენტი ვერ ახერხებს პროგრამის დაძლევას, რის გამოც ქიმია და ბიოლოგია შეტანილია პროგრამაში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საბაკალავრო პროგრამა - ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია ○ ვებ-გვერდი
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის პროგრამა შედგენილია საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების მეთოდოლოგია და გაუქმების წესის“ შესაბამისად.

პროგრამის მიზნები, პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და თვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს;

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, დაშვების წინაპირობები ადეკვატური და ლოგიკურია;

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობისა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას; პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი, აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, მოიცავს 240 ECTS კრედიტს, სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით, ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს.

პროგრამაში 27 კრედიტი ეთმობა ზოგად სასწავლო კურსებს, 64 კრედიტი - საბაზისო - სავალდებულო კურსებს, 125 კრედიტი - ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსებს, ხოლო 24 კრედიტი - არჩევით კურსებს. აღნიშნული მოცულობა კრედიტებისა სავსებით საკმარისია და სტუდენტს აძლევს დიდი არჩევანის შესაძლებლობას.

პროგრამის კომპონენტები (სასწავლო კურსები) არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური; თუმცა სასწავლო კურსები ფარმაკოლოგია და შინაგან სწავლებათა საფუძვლები ისწავლება

<p>მეოთხე სემესტრში, მათი შესწავლის წინაპირობად აუცილებელია განისაზღვროს პათოლოგია, აღნიშნული კურსი პროგრამაში არ ისწავლება, მესამე სემესტრის პროგრამით არის გათვალისწინებული მხოლოდ პათოლოგიური ანატომია, ამდენად, რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „პათოლოგიური ანატომია“ მოდიფიცირება „პათოლოგიის“ სახით და უკანასკნელის ფარმაკოლოგიისა და შინაგან სნეულებათა საფუძვლების წინაპირობად განსაზღვრა.</p> <p><u>შენიშვნა: დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში (15/12/2020 სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილეს) განმარტებულია, რომ ვიზიტის შემდგომ პერიოდში მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის საბჭომ განიხილა ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნული რეკომენდაცია და მიღებული იქნა გადაწყვეტილება ცვლილებების განხორციელების შესახებ.</u></p> <p>პროგრამის შექმნასა და განვითარებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა); უსდ მიერ უზრუნველყოფილია პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო საბაკალვრო პროგრამა, სილაბუსები ○ კურიკულუმის რუკა ○ „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „პათოლოგიური ანატომია“ მოდიფიცირება „პათოლოგიის“ სახით და უკანასკნელის ფარმაკოლოგიისა და შინაგან სნეულებათა საფუძვლების წინაპირობად განსაზღვრა.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამით შეთავაზებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის საერთო სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დასადგენად შემუშავდა სწავლის შედეგების რუკა, პროგრამის კურიკულუმის რუკა, განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები.

სასწავლო კურსების მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებში. სასწავლო კურსისთვის კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები, მათ შორის თანაფარდობა შესაბამისია სწავლა-სწავლების მეთოდებისა.

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს; კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები) გამოყოფილი თითოეული სასწავლო კურსისთვის შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, ადეკვატურია საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შესაბამისია მიმართულების/დარგის აქტუალური მიღწევების და ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში/დარგში, რითაც უზრუნველყოფილია პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობა. თუმცა, სასურველია სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის მუდმივად განახლება;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა და კურიკულუმის რუკა
- პროგრამის სილაბუსები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის მუდმივი განახლება <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საბაკალავრო საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული და კვლევითი, ასევე შემოქმედებითი უნარების გამომუშავებას სხვადასხვა პროექტებში მათი ჩართვით.</p> <p>პროგრამის მერვე სემესტრში განსაზღვრულია პრაქტიკა სპეციალობაში სასწავლო კურსის სახით 10 კრედიტის მოცულობით, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარება (ე.წ. თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა), კურსის სილაბუსი მომზადებულია პრაქტიკის ხელმძღვანელისა და მენტორის მიერ. პრაქტიკის კურსის მიზანია პროგრამის წინა ეტაპზე მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის განმტკიცება-გაღრმავება, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება/დახვეწა რათა კურსდამთავრებულმა შეძლოს, პროფესიულ ღირებულებებსა და პრინციპებზე დაყრდნობით, პროფესიულ გარემოში, სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელებისას, მათი სწორად გამოყენება.</p> <p>სილაბუსში გაწერილია სტუდენტის შეფასების წესი, რაც გულისხმობს სტუდენტის მიერ დღიურის წარმოებას, შუალედურ გამოცდას, რომელსაც ატარებს პრაქტიკის ხელმძღვანელი მენტორთან ერთად, და პრაქტიკის ანგარიშს, უკანასკნელი საჯაროა.</p>

დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტაციაში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რამდენიმე სტუდენტის სათანადოდ დამოწმებული პრაქტიკის დღიური მტკიცებულების სახით.

პრაქტიკის განხორციელება უზრუნველყოფილია სხვადასხვა ბაზებზე, პროცესის ეფექტური გამართვის მიზნით უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები კლინიკურ ბაზებთან და ორგანიზაციებთან:

- „დავით ტატიშვილის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი“
- შ.პ.ს. „ალექსანდრე კონდრატენკოს ქრონოკინეზოთერაპიის სარეაბილიტაციო ცენტრი“
- თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი–საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციის და სამკურნალო ტურიზმის ცენტრი”.
- შ.პ.ს „ავერსის კლინიკა“ სარეაბილიტაციო ცენტრი;
- შ.პ.ს. მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი“;
- შ.პ.ს. „ბავშვთა ნეიროგანვითარების ცენტრი“
- შ.პ.ს. „პირველი ნაბიჯი საქართველო“;
- სანიტარიის, ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი;
- საქართველოს ნუტრიციოლოგთა საზოგადოება;
- აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური ანტიდოპინგური ორგანიზაცია და სხვ.

ამავდროულად, მრავლადაა წარმოდგენილი მემორანდუმები საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უნივერსიტეტებთან.

დამსაქმებლებთან ინტერვიუებისას გამოვლინდა, რომ დამსაქმებლები ზოგადად კმაყოფილნი არიან კურსდამთავრებულთა ცოდნის დონით, თუმცა აღნიშნავენ კურსდამთავრებულთა პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების გაუმჯობესების სურვილს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადდა რჩევა (ქვესტანდარტი 5.3.), რაც გულისხმობს დამსაქმებელთა რეკომენდაციების გათვალისწინებას პრაქტიკული უნარ-ჩვევების, კომუნიკაციის უნარებისა და გუნდური მუშაობის უნარების გაძლიერების მიზნით).

პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია მცირე კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტები - რეფერატი, პრეზენტაცია. პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა კვლევით პროექტებში, საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო კონფერენციებში, ასევე სხვა უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციებში. მერვე სემესტრში პროგრამით განსაზღვრულია საბაკალავრო ნაშრომის მომზადება 20 კრედიტის ფარგლებში, ნაშრომი ასახავს ბაკალავრიატის სტუდენტის ცოდნის დონეს და სათანადო კომპეტენციას, არჩეული სპეციალობის სფეროში; ასევე შემოქმედებითი და კვლევის უნარ-ჩვევების შესაბამისობას, საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან; ბაკალავრიატის სტუდენტი ირჩევს თემის ხელმძღვანელს, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან (დასაშვებია მოწვეული პროფესორიც, რომელსაც აქვს შესაბამისი გამოცდილება). საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ეფუძნება უნივერსიტეტში მოქმედ ბაკალავრიატის სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების წესებს.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სპორტისა და კულტურის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს

უნივერსიტეტში კულტურისა და სპორტის სფეროსთან დაკავშირებულ საქმიანობის ეფექტიანად დაგეგმვასა და მართვას, ამ მიზნით განხორციელებულ აქტივობებში უნივერსიტეტის სტუდენტების, პერსონალისა და დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის პროგრამა
- კურსდამთავრებულების კვლევა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში წარმოდგენილ სასწავლო კურსებში გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები და აქტივობები (ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, კონსულტაცია, დამოუკიდებელი მუშაობა. ახსნა-განმარტება, დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა, დემონსტრირება, გონებრივი იერიში და სხვ), რაც

<p>ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.</p> <p>პროგრამაში ისწავლება კლინიკური საგნები: შინაგან სნეულებათა საფუძვლები, ნევროლოგია, ტრავმატოლოგია და ორთოპედია, პირველადი დახმარება გადაუდებელი მდგომარეობების დროს, რომელთა სწავლებისათვის ასევე გამოყენებულია ლექცია, სემინარი პრაქტიკული მეცადინეობა, დისკუსია/დებატები და აქტივობები: პრეზენტაცია, პრაქტიკა, კონსულტაცია, დამოუკიდებელი მუშაობა, დემონსტრირება ანალიზი.</p> <p>ფაქტიურად გამოყენებული მეთოდები ერთნაირად გაზიარებულია უმრავლესობა კურსების ავტორების მიერ, რეკომენდირებულია მეტად იყოს გათვალისწინებული სასწავლო კურსების სპეციფიკა, კერძოდ: შინაგან სნეულებათა საფუძვლების სწავლების დროს არის გამოყენებული პრაქტიკული უნარების შესრულება სიმულატორზე. ვფიქრობთ, უკანასკნელის გამოყენება უპრიანი იქნება ყველა კლინიკური სასწავლო კურსისთვის, ასევე უპრიანია სწავლება-სწავლის მეთოდებში სასწავლო კურსების განხორციელებისას დამატებით გამოყენებულ იქნას პრობლემაზე ორიენტირებული და შემთხვევაზე ორიენტირებული სწავლება.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა ○ პროგრამის სილაბუსები
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სწავლების მეთოდების არჩევისას სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინება; სიმულატორზე პრაქტიკული უნარების სწავლების გაზიარება ერთეული სასწავლო კურსებიდან უმეტეს კლინიკურ სასწავლო კურსებში; ○ პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების და შემთხვევაზე ორიენტირებული სწავლების გამოყენება.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სტუდენტის შეფასების წესის საფუძველია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება. სტუდენტების შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და წესები ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით და მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევაზე.</p> <p>სტუდენტის მიღწევების შეფასება ხდება შუალედური და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სტუდენტი პროგრამის თითოეულ საგანში ფასდება 100 ქულიანი სისტემით, შუალედური შეფასება მინიმუმ 3 კომპონენტს მოიცავს, შეფასების კომპონენტები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.</p> <p>საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ეფუძნება უნივერსიტეტში მოქმედ ბაკალავრიატის სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების წესებსა და საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები, საბაკალავრო ნაშრომს აფასებენ 0- 100 ქულით, შემდეგი კომპონენტების მიხედვით: შინაარსობრივ-სტრუქტურული შესაბამისობა, საბაკალავრო ნაშრომის მოთხოვნებისადმი, საკვლევი პრობლემა, კვლევის/ნაშრომის შედეგები და დასკვნები, ნაშრომის პრეზენტაცია და მსჯელობა, შეკითხვებზე გაცემული პასუხები.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საბაკალავრო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები. ○ ბაკალავრიატის დებულება
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

